საქართველო
აბულაძეთა საგვარეულო კავშირი

GEORGIA
THE ABULADZE FAMILY UNION

ГРУЗИЯ
ФАМИЛЬНЫЙ СОЮЗ АБУЛАДЗЕ

ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. №172 ბ. 30
Ap. 30, 172 Pharnavaz King str., Batumi
Батуми, ул. Царя Парнаваза №172, кв. 30

☎ 0422 27 53 61
5 99 14 40 15

№ 02

„03" მაისი 2014 წ.

ქ. ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელს

ბატონ ლევან კირკიტაძეს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ 2014 წლის 31 იანვარს დაბადებიდან 90 , ხოლო 6 მარტს გარდაცვალებიდან 20 წელი შეუსრულდება, გამოჩენილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, ქართველ კინორეჟისორს, საქართველოს რესპუბლიკის სახალხო არტისტს, საქართველოს და დაღესტნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს თენგიზ აბულაძეს.

ის არის: კანის პირველი პრემის, პორტა - ტერმას (იტალია) მეორე პრემიის და იტალიის საერთაშორისო კინოფესტივალების პრემიის მფლობელი, სან-რემოს (იტალია) საავტორო ფილმების XVII საერთაშორისო კინოფესტივალის გრან - პრის მფლობელი.

ბრატისლავას პირველი ხარისხის, ედინბერგის, ლონდონის, ტაშკენტის და ჰელსინკის საერთაშორისო კინოფესტივალების დიპლომების მფლობელი. რიგის X საკავშირო კინოფესტივალის მთავარი პრიზისა და დიპლომის მფლობელი.

თეირანის VI საერთაშურისო კინოფესტივალის პრიზის ოქროს ,, ფრთოსანი ჯიხვი"- ს, კინოხელოვნებაში ღვაწლისათვის (თბილისი) ,,ოქროს არწივის "-ს და კაბურგის (საფრანგეთი) რომანტიკული ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალების პრიზის მფლობელი და მრავალი სხვა.

მინიჭებული აქვს: შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია, სსრკ სახალხო არტისტის წოდება, არჩეული იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს: IX, X, XI და XV მოწვევის დეპუტატად, საქართველოს პირველი მოწვევის პარლამენტის წევრად.

დაჯილდოებულია ღირსებისა და საპატიო ნიშნის ორდენებით, შრომის წითელი დროშის ორი ორდენით, ივანე ჯავახიშვილის და ,, თავდადებული შრომისათვის" მედლებით.

თენგიზ აბულაძე, პოლონეთის საპატიო მოქალაქე, ევროპის კინოაკადემიის წევრი და ავსტრიის სახვითი ხელოვნების აკადემიის პროფესორი იყო.

გადაღებული აქვს მხატვრული ფილმები: მაგდანას ლურჯა, სხვისი შვილები, მე, ბებია, ილიკო და ილარიონი, ვედრება, სამკაული ჩემი სატრფოსათვის, ნატვრის ხე და მონანიება. დოკუმენტური ფილმები: კომპოზიტორი დიმიტრი არაყიშვილი, ჩვენი სასახლე, საქართველოს ქართული ცეკვის ანსამბლი, თუშური ჩანახატები, სვანური ჩანახატები, მუზეუმი ღია ცის ქვეშ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 18 დეკემბრის N3935-IIს დადგენილების ,, დასახლებული პუნქტების, ქუჩების და მოედნების სახელწოდებებთან

დაკავშირებით " შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს სახელმწიფოს წინაშე ფასდაუდებელი წვლილისა და ღვაწლის წარმოსაჩენად ქ. ქუთაისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს **თენგიზ აბულაძის** სახელი.

თან ერთვის ბიოგრაფია 3 ფურცელზე.

პატივისცემით
აბულაძეთა საგვარეულო კავშირის
თავმჯდომარე ვახტანგ აბულაძე